სიღარიბე, როგორც ეკონომიკური კატეგორია

ნატო ჩიკვილაძე
სტუ-ს მოწვეული პროფესორი

POVERTY AS AN ECONOMIC CATEGORY

Nato Chikviladze,
visiting professor of GTU

ABSTRACT

The article presents and analyzes the income of the population in different countries, ways to combat poverty. The relevance of the research topic is conditioned by the current situation both in the world and in post-Soviet countries, where the difference in incomes of the population is increasing. society is divided into rich and poor.

Despite the scientific studies that have been conducted, which speak about the problems of income differentiation of the population, it is possible to identify a number of issues that should be addressed in the work. prosperity; normal living conditions; poverty; poverty. The standard of living of the population has its own structure, which includes: level of welfare; accumulation of human capital; Level of human development, etc. Poverty can lead to negative consequences:- Deterioration of macroeconomic indicators of the economy;- Increase in crime;- Migration of the population to foreign countries in search of a better life, etc. Poverty is an eternal and multifaceted problem that is an integral part of social life. Its solution is to reduce the gap between the rich and the poor, as the conflict between them is becoming global.

Key words: Population, poverty, income, income stratification, unemployment.

* * * *

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია იმ მდგომარეობით,რომელიც გაბატონებულია, როგორც მსოფლიოს მთელ რიგ და ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში,სადაც სულ უფრო და უფრო იზრდება განსხვავება მოსახლეობის შემოსავლებში. ეს განსხვავება წარმოქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს, რის შედეგადაც ხდება საზოგადოების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად.

მიუხედავად გაწეული მეცნიერული კვლევებისა,რომელიც ეხება მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის პრობლემებს,შესაძლებელია გამოვყოთ მთელი რიგი საკითხების, რომელსაც უნდა შევეხოთ ნაშრომში.

ზოგი ავტორი ნაშრომში ყურადღებას ამახვილებენ მოსახლეობის ცხოვრების დონის დამახასიათებელ პირობებზე,როგორიცაა; კეთილდღეობა; ნორმალური ცხოვრების პირობები; სიღარიბე; სიღატაკე.

მოსახლეობის ცხოვრების დონეს გააჩნია თავისი სტრუქტურა, რომელშიც შედის: კეთილდღეობის დონე; ადამიანური კაპიტალის დაგროვება; ადამიანური განვითარების დონე და ა.შ.

მოსახლეობის სიმდიდრე წარმოადგენს ფულადი სახსრების ჯამს,რომელიც მათ მიიღეს, ან აწარმოეს ოჯახურ მეურნეობაში გარკვეული დროის განმავლობაში.სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას,რომ შემოსავლების დონე, ისევე, როგორც ცხოვრების დონე ქვეყნის მოსახლეობისა, იყოს ერთნაირი და არ არსებობდეს სიღარიბე.ასეთ პოზიციას ადგას ევროპის მთელი რიგი ქვეყნები:ფინეთი,ნორვეგია და სხვა. ამ ქვეყნებში მოსახლეობას შორის შემოსავლების მიხედვით განსხვავება უმნიშვნელოა, მაგრამ არსებობს მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც ისტორიულად სიღარიბეში იმყოფებოდნენ. აქ საუბარია აფრიკის ქვეყნებზე, კერძოდ კონგო,ზიმბაბვე,მალი და სხვა. ამ ქვეყნებში მოსახლეობის 65% სიღარიბეში ცხოვრობს.მოსახლეობის სიღარიბე და სიმდიდრე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან,რადგან მოსახლეობის ის ნაწილი რომელიც ფლობს შემოსავალს მდიდრად ითვლება,ხოლო ვისაც არა აქვს შემოსავალი ღარიბია.

რა არის მოსახლეობის მდიდარ და ღარიბ ფენებად დაყოფის მიზეზი?ამ კითხვას პასუხი ვერ გაეცემა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. თუ განვიხილავთ სიღარიბის პრობლემას ისტორიულ ჭრილში ღარიბი ქვეყნების ფარგლებს გარეთ,რომლებსაც არ გააჩნიათ ბუნებრივი რესურსები,მაშინ შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი კანონზომიერებანი:

1. მოსახლეობის სიღარიბე ყალიბდება ისეთ პირობებში როდესაც მოსახლეობის მცირე ნაწილმა „ხელთ იგდო“ ხელისუფლება და არსებული ბუნებრივი რესურსები;
2. ქურდობა და კორუფციის აყვავება,რომელსაც მოსდევს ისეთი კანონებისა და რეგულაციების მიღება,რასაც ხალხი „ანტისოციალურად“ მიიჩნევს;
3. რაციონალური და სამართლიანი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა,რომელიც დაარეგულირებს საკამათო საკითხებს და ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემოსავლების გათანაბრებას;
4. უკანონო ქმედებებისთვის,რომლებიც მიზნად ისახავს შემოსავლის სფეროში მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების ხელყოფას და ა.შ,- სასჯელის არარსებობა.

თუმცა ეს არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მთელი სპექტრი,რომელიც ახასიათებს მოსახლეობის დაყოფას შემოსავლების დონეზე და სიღარიბის წარმოშობას.

სიღარიბეს შეუძლია მიგვიყვანოს ნეგატიურ შედეგებამდე:

- ეკონომიკის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება;
- დანაშაულის ზრდა;
- მოსახლეობის უცხო ქვეყნებში გადინება უკეთესი ცხოვრების საძიებლად და ა.შ.

სიღარიბეს ორი მხაარე აქვს: ეკონომიკური(დაკავშირებულია პიროვნების სიმდიდრის დონესთან,რომელიც გამოხატულია ლიკვიდური ღირებულებების მინიმალური რაოდენობით) და სოციალური(ცხოვრების განსაკუთრებული წესი,მისი სტილი და ადამიანების ქცევის ნორმები.

სიღარიბე განსხვავებულად გამოიყურება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში:

ჩინეთში მოსახლეობის 65% სიღარიბეში ცხოვრობს. აშშ -ში მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 16 % ღარიბია.ამერიკაში არსებობს „ ღატაკი მშრომელი ადამიანის“ ცნება.სიღარიბე ყოველთვის ასოცირდება უმუშევრობასთან.ადამიანი, რომელმაც სამუშაო იპოვა, საერთო განმართებით არ შეიძლება იყოს ღატაკი.

იაპონია მსოფლიოში ეკონომიკური სიდიდით მესამე ძალას წარმოადგენს,მაგრამ ყოველწლიურად ქვეყანაში სიღარიბის დონე იზრდება.მთავარი მიზეზი უმუშევრობაა. ყოველი მეექვსე იაპონელი ღარიბად ითვლება.

დღეს ლიდერი დონისა და ცხოვრების ხარისხის მიხედვით არის ისეთი ქვეყნები,როგორიცაა ნორვეგია,ავსტრალია და შვედეთი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემოსავლების უთანასწორობისა და სიღარიბის დონის შემცირების ძირითადი მიმართულებებია :

- მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება;
- სოციალური და საბინაო პირობების გაუმჯობესება;
- მინიმალური ხელფასისა და და სოციალური გადასახადების სტაბილიზება და გაუმჯობესება.

სიღარიბე არის სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი,რომლის დროსაც ინდივიდი, ან სოციალური ჯგუფი ვერ იკმაყოფილებს სიცოცხლისათვის აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნილებებს.

ნებისმიერი ქვეყანა შეიძლება გახდეს ღარიბი ან მდიდარი. საზოგადოების სოციალურ- ეკონომიკური განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის წყალობით შესაძლებელია ქვეყანაში ვითარების შეცვლა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, უმუშევრობა ხელს უწყობს სიღარიბეს.უმუშევრობა რთული სოციალ-ეკონომიკური ფენომენია.ზოგადად, მიღებულია, რომ მას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.მთავარ პოზიტიურ მხარედ,როგორც წესი, განიხილება შემდეგი: უმუშევრობა საშუალებას იძლევა,საჭიროების შემთხვაში, სწრაფად მიიზიდოს დამატებითი შრომითი რესურსები. უმუშევრობა ასტიმულირებს ქვეყნის მოსახლეობას, გააუმჯობესონ შრომის “ხარისხი“ არსებული ცოდნის განახლებით და უნარ-ჩვევების გამომუშავებით.

ამავდროულად, უმუშევრობა ხელს უწყობს მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას,ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების კლებას,მასზე ტვირთის ზრდას, შეღავათების გადახდის აუცილებლობის გამო,ასტიმულირებს ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას, რაც, როგორც წესი, იწვევს სტატისტიკური მონაცემების დამახინჯებას მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალური მდგომარეობის შესახებ.

მეცნიერები,რომლებიც დაკავებულნი არიან მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის მიზეზების კვლევით, აღნიშნავენ, რომ შეიცვალა განვითარების ორიენტირი და პარადიგმები. ახალგაზრდა ადამიანების ძირითადი მასა დაინტერესებული არ არის შეისწავლონ საინჟინრო სპეციალობები , სწავლობენ ბიზნესისა და სამართლის სპეციალობებზე,რომლებიც თავისთავად საჭიროა,მაგრამ მომავალში მივიღებთ დეფიციტს სხვადასხვა სპეციალობებში ,რაც ახლაც შეინიშნება. არსებობს განსხვავებები სასტარტო შესაძლებლობებში:ადამიანები შეიძლება გახდნენ არასატანადო განათლების მსხვერპლნი. ეს იწვევს მოსახლეობის შემოსავლების სფეროში მნიშვნელოვანი სტრატიფიკაციის გაჩენას.

სიღარიბისა და სიღატაკის აღმოსაფხვრელად,ასევე ამ მავნე ფენომენის მასშტაბის შესამცირებლად საჭიროა შემდეგი ზომების მიღება:

1. სიღარიბისა და სიღატაკის გამოვლინების წინააღმდეგ კომპლექსური სტრატეგიის შემუშავება;
2. კანონმდებლობის განმტკიცება და შემდგომში გაფართოვება.ეს ღონისძიება სოციალური დაცვისათვის არის აუცილებელი;
3. ადამიანთა ყველა სოციალური კატეგორიის(არა მარტო ღარიბებისა და მდიდრების) ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ავსტრალიასა და შვეიცარიაში არსებობს კონტინენტური მოდელი.ეს მოდელი ითვალისწინებს ურთიერთკავშირს შრომით საქმიანობას განგრძობითობასა და სოციალური დაცვის დონეს შორის.მის საფუძველში დევს აუცილებელი სოციალური სადაზღვევო მომსახურება,რომელიც მოიცავს დაზღვევის განსხვავებულ ფორმებს, როგორებიცაა: სამედიცინო,უმუშევრობისა და საპენსიო დაზღვევები.სახელმწიფო გამოდის, როგორც სოციალური დაზღვევის

ორგანოების მოვალეობის შესრულებისას ფინანსური სიძნელეების თავიდან აცილების გარანტი.

შვედეთში და ნორვეგიაში არსებობს სოციალ-დემოკრატიული მოდელი.სოციალური დახმარებები გარანტირებული აქვს ქვეყნის მოსახლეობას და არ არის განპირობებული დასაქმებით და სადაზღვევო შენატანებით. სოციალური დაცვა მაღალია, ამიტომაც სიღარიბე ამ ქვეყნებში ყველაზე უფრო დაბალია მსოფლიოში.

თამამედროვე პირობებში ევროპის ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემაში მიმდინარეობს შემდგომი ცვლილებები:

1. დაუსაქმებელი და სოციალურად დაუცველი ფენების დაცვის ძირითადი პასუხისმგებლობა გადაეცემა ადგილობრივ ხელისუფლებას;
2. მოსახლეობის სოციალური დაცვის ფუნქციები გადანაწილებულია სახელმწიფოს, ადგილობრივ ხელისუფლებას, საწარმოებს, არაკომერციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

მსოფლიოში სიღარიბის დარეგულების მარტივი გეგმა არ არსებობს,თუმცა ზოგიერთმა ქვეყანამ შეძლო მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა სიღარიბის შემცირების კუთხით. რა თქმა უნდა, განვითარებული ქვეყნების სოციალური დაცვის გამოცდილების სრული კოპირება მიუღებელია, მაგრამ გარკვეულ ასპექტებში, ღარიბმა ქვეყნებმა უნდა მიბაძონ მათ მაგალითს.ეს ახდენს და განსაზღვრავს სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული მიზნობრივ პოლიტიკაზე გადასვლის აუცილებლობას. როგორც უკვე ითქვა, მოსახლეობის შემოსავლების სტრატიფიკაცია იწვევს მდიდრების (რომლებიც ფლობენ ეკონომიკაში ფულის ძირითად ნაწილს) და ღარიბის გამოჩენას .ამ სტრატიფიკაციამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი შემცირება.

სიღარიბე არის მარადიული და მრავალმხრივი პრობლემა,რომელიც სოციალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილია. მისი გამოსავალი ღარიბებსა და მდიდრებს შორის უფსკრულის შემცირებაა, ვინაიდან მათ შორის დაპირისპირება გლობალურ ხასიათს იძენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Сакс Дж. Д. Конец бедности. Экономические возможности нашего времени. Пер. с англ.
2. Эдельмана. М.: Изд-во Институт Гайдара, 2011. 424 с.
3. Стиглиц Д., Сен А., Фитусси Ж.-П. Не-верно оценивая нашу жизнь: Почему ВВП не имеет смысла? Доклад Комиссии по измерению эффективности экономики и социального прогресса. Пер. с англ. И. Кушнаревой; науч. ред. перевода Т. Дробышевская. М.: Изд-во Института Гайдара, 2016. 216 с.
4. Пикетти Т. Капитал в XXI веке. М.: Ад Маргине Пресс,2015. 592 с.Пресс, 2015. 592 с.